საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აბრამიშვილი გიორგი იოსების ძე

აბრამიშვილი გიორგი იოსების ძე (28. III. 1917, ბორჯომი–16. III. 1992, გორი), რეჟისორი, მსახიობი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1965).

1940 დაამთავრა საქართვ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი. მსახიობად მუშაობდა ფოთის, ბორჯომის, თბილ. რუსთაველის სახ. თეატრებში. 1947 ბორჯომის სახელმწ. თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. 1948 დაამთავრა მოსკ. ა. ლუნაჩარსკის სახ. თეატრ. ხელოვნ. სახელმწიფო ინ-ტთან არსებული რეჟისორთა დახელოვნების კურსები. 1948–50 და 1968–70 მუშაობდა თელავის თეატრის მთავარ რეჟისორად. 1950–52 იყო მესხეთის (ახალციხე) თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, 1952–68 – გორის თეატრის რეჟისორი, 1970 –75 – მთავარი რეჟისორი. სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა ზუგდიდის, ცხინვალის თეატრებს. ა-ის შემოქმედება გამოირჩეოდა უშუალობით, სცენური ნახატის სიზუსტით. როლები: ივანე (გ. ერისთავის „გაყრა“), ყვარყვარე (პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“), შაჰ-აბასი (ი. ვაკელის „გიორგი სააკაძე“) და სხვ. ა-ის რეჟისორული შემოქმედებისათვის ნიშანდობლივია მსახიობებთან გულდასმით მუშაობა, სახეების ფსიქოლ. დამუშავება. მნიშვნელოვან ადგილს უთმობს სპექტაკლის მუს. გაფორმებას. საუკეთესო დადგმები: ო. ბალზაკის „დედინაცვალი“, კ. გოლდონის „ორი ბატონის მსახური“, ა. ჩხაიძის „ხიდი“, ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელი“, რ. მამულაშვილის „თორტიზელი ქალიშვილი“, ლოპე დე ვეგას „ცეკვის მასწავლებელი“ და სხვ.

შ. ცუცქირიძე